რუსუდან ჯანაშია
ა. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მცირე მოგონება

გიორგი ჩუბინაშვილისადმი სიმონ ჯანაშიას განსაკუთრებული დამოკიდებულება ქქონდა. ბატონ გიორგიში იგი ხედავდა ქართული მეცნიერების და ზოგადად ქართული კულტურის ისეთ მკელვარს, რომლის დარი არა მარტო ჩვენში, არამედ საერთოდ, ცოტა ეინმე თუ მოიძებნებოდა. ამიტომაც გარდა პიროვნული ურთიერთობისა, მათ შორის დამყარებული იყო კოლეგიალური მეცნიერული თანამშრომლობა. ს. ჯანაშია ყოველნაირად ცდილობდა მხარში ამოსდგომოდა ბ-ნი გიორგის მის საქმიანობაში, რაც, ჩემის აზრით, კარგად ჩანს გ. ჩუბინაშვილის წერილებიდან („საქართველოს სიძველენი", ტ. №4). ბ-ნ გიორგის მხარში ამოდგომა მართლაც რომ სჭირდებოდა. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რამდენი „მოყვარე" ჰყავდა მას. ამასთან დაკავშირებით, მკითხველს ვთავაზობთ ს. ჯანაშიას პირად არქივში დაცული ორი დოკუმენტის გაცნობას. ორივე დოკუმენტი მიმართულია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიისადმი. მათი შავი პირები ინახება მეცნიერის არქივში. I მიმართვა დაწერილი უნდა იყოს 1941 წელს:

Президенту АН СССР

Председателю Комитета по Филиалам и Базам АН СССР

Председателю РИСО* АН СССР

Акад. В.М. Комарову

В 1938 году комитет по Филиалам и Базам АН СССР и РИСО обратились к Грузинскому Филиалу АН СССР с предложением издать, в порядке помощи, ряд работ Груз. ФАН СССР.

Ученый секретарь РИСО тов. В. М. Гальперин из представленного нами списка работ выбрал для издания в Издательстве АН СССР работу видного грузинского ученого проф. Г. Н. Чубинашвили «Памятники Джварского типа»**. Грузинский Филиал представил работу незамедлительно, назначив редакторами акад. И. А. Джавахишвили и проф. С. Н. Джанашиа.

Больше двух лет работа проф. Г. Н. Чубинашвили находится в РИСО без всякого движения. Из устных разъяснений тов. В. М. Гальперина работа проф. Чубинашвили не была пущена в производство ввиду того, что акад. И. А. Орбели забрав к себе рукопись, до сих пор (т.е. до 16.I.1941) не представил письменной рецензии. В связи с этим мотивом, устно изложенным тов. В. М. Гальпериным, возникает ряд недоуменных вопросов. Во-первых по каким мотивом книга была передана на рецензию третьему лицу при наличии двух ответственных редакторов (один из них действительный член АН СССР).

В начале нас уверяли, что книга в наборе. Но когда к началу 1940 г. мы от этого набора.

სამწუხაროდ, ტექსტი აქ წყდება. მისი გაგრძელება შემდეგ გვერდზე ეერ ეიპოვეთ.

---

* РИСО редакционно-издательский совет (რ. ჯ.).

** როგორც ჩანს, ნაშრომს თავდაპირველად ასეთი სათაური ქქონდა. გ. ჩუბინაშვილის ნაშრომმა «Памятники типа Джварі» სინათლე მხოლოდ 1948 წ. იხილა.

მეორე დოკუმენტი დაწერილი უნდა იყოს 1943 წელს:

Академику-секретарю АН СССР

акад. Бруевичу

К утвержденной РИСО АН СССР 7.XII.1938 года к печати работе проф. Г. Н. Чубинашвили «Памятники Джварского типа» были из Груз. Постпредства в Москве переданы, согласно указания Груз. АН (тогда Груз. ФАН-а), готовые клише к данной работе, общим числом до 200 штук.

Так как постановление РИСО АН СССР выполнено не было, работа была в 1941 году взята в Тбилиси. Клише, однако, Издательством разысканы не были.

Ввиду означенного АН Груз. ССР обращается с просьбой о содействии в приеме Гознаком 1) заказа на изготовление за наш счет потребных для 85 таблиц (формат картинной площади, каждой в 18х22 сант. в среднем) клише общим количеством площади от 32 до 34 тысяч квадратных сантиметров, и 2) на отпечатание с этих клише самих таблиц.

Вице-през. АН ГССР

Акад. С. Н. Джапашиа.

ეფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი მასალიდან კარგად ჩანს, რა სიძნელეების გადალახვა უხდებოდა ბ-ნ გიორგის.

ბ-ნი გიორგისა და ს. ჯანაშიას ურთიერთობის შესახებ ხშირად გესმენია რენე შმერლინგისგან, ვახტანგ ბერიძისგან, გიორგი ლომთათიძისგან. ბ-ნი გიორგის თქმით, სიმონი ხშირად იტყოდა ხოლმეო, ბ-ნი გიორგის როგორმე სიცოცხლე უნდა გაეუხანგრძლივოთო. პირადად მე კარგად მახსოვს ბ-ნი გიორგი. მამას გარდაცვალების მერე ის თაეის მეულლესთან ერთად რამდენჯერმე ყოფილა ჩვენთან. ჩვენც ეყოფილვართ მათ ოჯახში. ამის მიზეზი კი იყო ქ-ნი ნინოს რძლის, ერნესტინა გეინიეეას ეიზიტები თბილისში. ის ჩვეულებრივ მათთან ჩერდებოდა ხოლმე. ის ხომ იყო გაბრიელ გაბრიელის ძე ლეონიაშვილის, ცნობილი თეატრალური მოღვაწის მეულლე. ერნ. გეინიეეასთან ურთიერთობა ომიანობის წლებში დამყარდა. II მსოფლიო ომის დროს ევაკუაციაში ყოფნისას ისტორიის ინსტიტუტის მაშინდელმა დირექტორმა ს. ჯანაშიამ იგი ჩარიცხა ინსტიტუტში და სადისერტაციო თემაც შეურჩია, შარდენის მოგზაურობის შესახებ. ევროპულად განათლებულმა ისტორიკოსმა გეინიეეამ მშვენივრად გაართვა თავი დასახულ ამოცანას და მალე დისერტაციაც დაიცვა. მამას გარდაცვალების შემდეგ მასთან ჩვენი ურთიერთობა არ შენელებულა. იგი გრძელდებოდა თბილისში, მოსკოვში, სოხუმში – ჩვენს აგარაკზე. მას ბოლო დღემდე ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა პირადად ჩემთან.

არ შემიძლია არ გავიხსენო ბ-ნი გიორგის 100-წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. მეხსიერებაში ჩამებეჭდა 1985 წლის 5 დეკემბრის სხდომა, რომელიც გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში. ეს იყო ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და თსუ-ს ერთობლივი ღონისძიება. შესავალი სიტყვით სხდომა გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა ეეგენი ხარაძემ. ძირითადი მოხსენება გააკეთა ე. ბერიძემ, როგორც ყოველთვის სადად, ჭკვიანურად, გონებამახვილურად. ბევრი ახალი და საინტერესო გაეიგეთ მისგან. თურმე ბ-ნი გიორგის წინაპრები ყოფილან გიორგიძეები. შემდგომ ერთ-ერთი 'მთამომაელის სახელის ჩუბინის მიხედვით მე-19 საუკ. დასაწყისში სათაეე დაედო ჩუბინაშვილების გვარს. მართალია, ეიცოდი, რომ ბ-ნი გიორგი ჩინებულად უკრაედა ეიოლინოზე, მაგრამ გამაოცა იმან, რომ ბ-ნი გიორგის მასწაელებელი ყოფილა კაზალუპოეის, მირონ პოლიაკინის და მათი მსგაესი კორიფეების პედაგოგი. სხეაც ბევრი რამ თქვა ე. ბერიძემ გ. ჩუბინაშვილის ცხოერების წესსა და პრინციპულობაზე.

ძალიან საინტერესო იყო აკად. ანდრია აფაქიძის გამოსელა. მან ისაუბრა

გ. ჩუბინაშვილზე როგორც არქეოლოგიის ახალი დარგის, ახალმშენებლობათა არქეოლოგიის ფუძემდებელზე არა მარტო ჩვენში, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ეს მოხდარა ზაჰესის მშენებლობის დროს, 1924 წელს. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბ-ნი გიორგის როლი „მცხეთა I"-ის რუსული ვარიანტის რედაქტირებაში.

სერგო ჯორბენაძის მიერ წარმოდგენილ უაღრესად მნიშვნელოვან საარქივო მასალასთან დაკავშირებით გამოითქვა სურვილი ამ მასალის დაბეჭდვისა.

დიდი სიყვარულით გაიხსენა საინტერესო ფაქტები ლალი ჯავახიშვილმა.

ბევრი ილაპარაკა ირაკლი ციციშვილმა ბ-ნი გიორგის პროექტების შესახებ სვანეთში მუზეუმის, ძეგლების დაცვის და სხვ. შესახებ. მის მერე 40 წელი გავიდა, მაგრამ უფრო გონივრული და უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრეთ.

ძალზედ საინტერესო იყო დავით ციციშვილის, ბ-ნი ირაკლის უფროსი ძმის, გამოსვლა. მან გაიხსენა 1920-იანი წლები, როცა გ. ჩუბინაშვილი განაგებდა უნივერსიტეტის შენობაში განთავსებულ მუზეუმს, სადაც თავმოყრილი იყო სხვადასხვა კუთხის ეკლესიებიდან ჩამოტანილი ასობით ხატები, ჯვრები, ნაქარგობები. ეს ყველაფერი მოთავსებული იყო ერთ უზარმაზარ დარბაზში, როგორც ჩანს, იქ, სადაც ახლა სამკითხველოა. ბ-ნი გიორგის განკარგულებით, ხატები ესვენა, რათა არ ჩამოცვენილიყო ნახატობა. ხატებს შუა იყო „ბილიკები", რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ქაოსში მოძრაობა. დარაჯად თურმე მუშაობდა იოსებ შარლემანის ყოფილი კამერდინერი, რომელიც ი. შარლემანს თავის დროზე ჩამოეყვანა პეტერბურგიდან. მომხსენებელი ყვებოდა იმ უანგარო და თავდადებულ მუშაობაზე, რასაც ბ-ნი გიორგი ეწეოდა სიძველეთა გადასარჩენად.

სამხატვრო აკადემიის პრორექტორი ნუგზარ ანდღულაძე იხსენებდა სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორის ღვაწლსა და პრინციპულობას სამეცნიერო საბჭოს წევრად ყოფნისას.

საღამოზე ისაუბრა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა.

ნოდარ ლომოურმა გაიხსენა, თუ როგორ გაიცნო ბ-ნი გიორგი; გაიხსენა იგი როგორც ლექტორი. გამომსვლელმა მოიგონა ის სხდომა, რომელზეც ხდებოდა ბ. გიორგის „დამუშავება" 1950-იანი წლების დასაწყისში. ამჯერადაც ბ-ნი გიორგი იყო პრინციპული და მედგარი. ვერავინ და ვერაფერმა შეარყია მისი მაღალი ზნეობა.

Resume

Rusudan Janashia
A Small Memoir

The article characterises relations between G. Chubinashvili and acad. S. Janashia. Published are S. Janashia's letters, written in 1941 and 1943, concerning delay in publication of G. Chubinashvili's book "Памятники типа Джвари" (Monuments of the Jvari Type).